საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №5, ნაკ.№01.19.34.003.045-ზე, რვა სართულიანი (სარდაფით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

მოქ. ბორის ხატიაშვილის (პ/ნ №01024044086) მომართვის საფუძველზე ჩვენს მიერ 2020 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №5, ნაკ.№01.19.34.003.045-ზე, რვა სართულიანი (სარდაფით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №5, ნაკ.№01.19.34.003.045-ზე, რვა სართულიანი (სარდაფით) **საცხოვრებელი სახლის** მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი/მ ბესიკ დევდარიანის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წ. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი. გრუნტის თვისებების გამოკვლევები შესრულებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------19 გვ.
2. მიწერილობა----------1 გვ.
3. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე----------14 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა----------1 გვ.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები----------4გვ.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი----------4 გვ.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს რვა სართულიანი (სარდაფით) საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია
კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით, რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 52.5მ-ის სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 – 0.0-2.2მ. – ნაყარი, თიხნარი მცენარეთა ფესვები, ღორღი, ხრეში, ხვინჭა, აგურის ნატეხები და სხვა სამშენებლო ნარჩენები;
ფენა 2 – 2.2-5.8მ. – თიხნარები, ღია ყავისფერი ტენიანი ძნელადპლასტიკური ქვედა ნაწილში ქვიშის თხელი შუაშრეებით, ხრეშის და კენჭების ჩანართებით;
ფენა 3 – 5.8-10.8მ. – კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით, გაწყლოვანებული;
ფენა 4 – 10.8-13.0 – გამოფიტული, თხელშრეებრივი ქვიშაქვები და არგილიტები;

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოედნის სულ ზედა ფენა ნიადაგის ფენით და ქვიშნარებით არის წარმოდგენილი; შემდეგი ფენა თიხნარითაა წარმოდგენილი, რომელშიც შეინიშნება ქვიშის და კენჭების შუაშრეები, შემდეგი ფენა კენჭნარით არის წარმოდგენილი, რომელიც გაწყლოვანებულია, შემდეგი ფენა თხელშრეებრივი არგილიტებით და ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი;

როგორც ავტორი აღნიშნავს, ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალთაზრისით მდგრადია და საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა 5.2 მეტრის სიღრმეზე, სტატიკური დონე შეადგენს 4.2მ-ს;

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ჭინძმარაულის ქ. №5, ნაკ.№01.19.34.003.045-ზე, რვა სართულიანი (სარდაფით) მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა. ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/